სოციალური საწარმოს განვითარების საგრანტო კონკურსი

ზოგადი ინფორმაცია:

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც 1995 წელს დაფუძნდა. მისი მისია საქართველოში საზოგადოების კეთილდღეობისათვის, კარგი მმართველობის, მდგრადი, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობაა.
ორგანიზაცია ხელს უწყობს ქვეყნის მდგრად განვითარებას, დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებით, აქტიური სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებით, სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობის გზით.
ჩვენ პატივს ვცემთ თანასწორობას, ადამიანის ღირსებას და გვჯერა, რომ მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, პროფესიონალიზმი, ურთიერთთანამშრომლობა და სოლიდარობა ქვეყნის განვითარების წინაპირობაა.
სოციალური მეწარმეობის განვითარების პროგრამა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) პროგრამული პრიორიტეტია 2009 წლიდან. პროგრამის მიზანია საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ცენტრი დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისთვის მართავს ტრენინგებსა და კონსულტაციებს. დამწყები და მოქმედი სოციალური საწარმოების მხარდაჭერის მიზნით აცხადებს საგრანტო კონკურსებს, ხოლო გამარჯვებულ ორგანიზაციებს საქმიანობის პროცესში ორგანიზაციულ, ფინანსურ, მარკეტინგულ და საკანონმდებლო საკითხებზე უწევს ინტენსიურ კონსულტაციებს.
ორგანიზაციის შესახებ სრული ინფორმაციისთვის მიყევით ბმულს: CSRDG

კონკურსის შესახებ:

საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი (CSRDG) “ პური მსოფლიოსთვის “ მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის “სამოქალაქო ჩართულობა, სოციალური პასუხისმგებლობა და კარგი მმართველობა“ ფარგლებში აცხადებს საგრანტო კონკურსს მოქმედი სოციალური საწარმოებისთვის. კონკურსის მიზანია: მხარი დაუჭიროს მოქმედი სოციალური საწარმოების განვითარებას, გაფართოებას, ხელი შეუწყოს მათ ფუნქციონირებას არსებული სირთულეების პირობებში და გააძლიეროს საწარმოების შესაძლებლობები, რაც ორი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება:

1. **სოციალური საწარმოს განვითარება** – ეს მოიცავს:
    - არსებული პროდუქტის ან მომსახურების გაუმჯობესებას;
    - საქმიანობის ტექნოლოგიური და ინოვაციური მეთოდებით განახლებას;
    - ინტერნეტისა და ციფრული ინსტრუმენტების ეფექტიან გამოყენებას;
    - საოპერაციო პროცესების ოპტიმიზაციასა და ახალი სტრატეგიების შემუშავებას.
2. **სოციალური საწარმოს გაფართოება** – რომელიც გულისხმობს:

- ახალი პროდუქტის ან მომსახურების შექმნას;
- ახალი რეგიონების ათვისებას და ადგილობრივ თემებში დასაქმების წახალისებას;
- საერთაშორისო ბაზრებზე გასვლას და პარტნიორული ქსელების შექმნას.

კონკურსის ეტაპები, განრიგი და მონაწილეობის უფლება

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც პროდუქტის მწარმოებელ, ასევე სოციალური სერვისის მიმწოდებელ სოციალურ საწარმოებს.
საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს:
არამომგებიანი (არასამეწარმეო) იურიდიული პირის სტატუსის მქონე სოციალურ საწარმოს;
სამეწარმეო იურდიული სტატუსის მქონე სოციალური საწარმოს, რომლის სადამფუძნებლო და საწესდებო დოკუმენტში ნათლად ჩანს სოციალური მისიის უპირატესობა;
სოციალურ საწარმოს რომლის წლიური სამეწარმეო ბრუნვა სამწარმეო საქმიანობიდან შეადგენს სულ მცირე 20 000 ლარს. 2023-2024 წლებში (ან მხოლოდ 2023 წელს, თუ 2024-ში საქმიანობის სპეციფიკიდან და შეზღუდვებიდან გამომდინარე, საქმიანობა თითქმის სრულად შეწყვეტილი იყო)
სოციალურ საწარმოს, რომლის საქმიანობა აღემატება 2 წელს;

აპლიკაციები ტექნიკური შემოწმების შემდეგ, გადაეგზავნებათ საგრანტო კომისიის წევრებს, რომლებიც განიხილავენ წარდგენილ განაცხადებს და გადაწყვეტილების საფუძველზე დასაფინანსებლად შეირჩევა 2 საუკეთესო[1].

საგრანტო კომისიის მიერ პროექტები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

საჭიროების დასაბუთება და პროექტის რელევანტურობა - კრიზისის/საჭიროების გავლენა საწარმოს ფუნქციონირებაზე, დაძლევის ან/და გაფართოების კონტექსტში - 30 ქულა;
განმცხადებლის გამოცდილება და კონტრიბუცია - 15 ქულა
სოციალური საწარმოს მოსალოდნელი სოციალური გავლენა და შედეგები - 20 ქულა
სოციალური საწარმოს მოსალოდნელი ეკონომიკური შედეგები - 20ქულა
დამატებითი სოციალური ეფექტი (პროექტი ეკომეგობრულია, გათვალისწინებულია გენდერული საკითხები, ინოვაციურია, ეყრდნობა საუკეთესო პრაქტიკას) - 15 ქულა

პროექტის შეფასებასა და დაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილებას მიიღებს დამოუკიდებელი კომისია, რომელიც დაკომპლექტებული იქნება საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ შერჩეული სფეროს ექსპერტებით ბიზნესსა და მარკეტინგში.
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ, დაფინანსებული სოციალური საწარმოების მონიტორინგი განხორციელდება 2-3 წლის განმავლობაში. საწარმოს მმართველი გუნდი მიიღებს ინტენსიურ ექსპერტულ დახმარებას ბიზნეს გეგმის განხორციელებასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.
განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა: 2025 წლის 31 მარტი, 18:00 სთ.

[1] გრანტის გამცემი ორგანიზაცია უფლებას იტოვებს არ დააფინანსოს აღნიშნული რაოდენობის პროექტი თუ სიცოცხლისუნარიანობა და ბიზნეს გეგმის ხარისხი არ იქნება შესაბამისობაში პროექტის მოთხოვნებთან.

კონკურსის ფინანსური საკითხები:

სოციალური საწარმოს განვითარებისთვის მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება (ფულადი ან სასაქონლო ფორმით) არ უნდა აღემატებოდეს **8 000 ევროს.**
საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღებისათვის სავალდებულოა მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსების **მინიმუმ 10%-იანი** ფინანსური თანამონაწილეობა.

საგრანტო თანხის ხარჯვა ნებადართულია შემდეგი მიზნებისთვის და საქმიანობებისთვის:

- სოციალური საწარმოს განვითარება/გაფართოების მიზნით.
- კრიზისის საპასუხოდ მიმართული აქტივობები, რომელიც დაეხმარება საწარმოს მდგრადობის შენარჩუნებაში
- კაპიტალური აქტივების შეძენა (საწარმოო დანადგარები, საოფისე მოწყობილობები, ტექნიკა და ა.შ.);
- მასალა/ნედლეულის შეძენა;
- მარკეტინგული ღონისძიებები და საპოპულარიზაციო მასალების დამზადება;

შესაბამისი დასაბუთებისას შესაძლებელია დაფინანსდეს:
- ფართის იჯარა არაუმეტეს ბიუჯეტის 20%-სა;
- საწარმოს მენეჯმენტის ხელფასი არაუმეტეს ბიუჯეტის 15%-სა;

საგრანტო თანხის ხარჯვა ნებადართული არ არის შემდეგი მიზნებისთვის:
- უძრავი ქონების შესყიდვა/აშენება;
- სარემონტო სამუშაოები.

პროექტის სააპლიკაციო განაცხადის წარდგენა და მნიშვნელოვანი თარიღები:
კონკურსში მონაწილეობისთვის წარსადგენი დოკუმენტები:
- ონლაინ სააპლიკაციო ფორმა;
- კონკურსისთვის საჭირო ფინანსური დოკუმენტები
- ორგანიზაციის ხელმოწერილი წესდება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- პროექტში მონაწილე პირთა პროფესიული რეზიუმეები ქართულ ენაზე;
- აუდიტორის მიერ შემოწმებული აპლიკანტის ბოლო ფინანსური ანგარიშგების ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  გთხოვთ, აღნიშნული დოკუმენტები ატვირთოთ სააპლიკაციო ფორმაში მითითებულ შესაბამის ველში.

საპროექტო განაცხადების წარდგენა შესაძლებელია საიტზე segeorgia.org .
განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა: **2025 წლის 31 მარტი, 18:00 სთ.**
განაცხადების შევსება შესაძლებელია მხოლოდ ონლაინ, ზემოთ მითითებულ ლინკზე. დაგვიანებით გამოგზავნილი განაცხადები არ განიხილება. არასრულად, ან განსხვავებული ფორმით შევსებული და დაგვიანებული განაცხადები არ განიხილება.

დამატებითი ინფორმაცია აპლიკანტებისთვის.
საკონსულტაციო შეხვედრა დაინტერესებულ პირებთან ჩატარდება ონლაინ Zoom- პლატფორმის გამოყენებით **14 მარტს 12:00 საათზე.**

საინფორმაციო შეხვედრაზე დასწრების მსურვლებემა რეგისტრაცია უნდა გაიარონ არაუგვიანეს 13 მარტისა:
რეგისტრაციის ლინკი:
ლინკი
ინდივიდუალური, ონლაინ კონსულტაციისთვის შეგიძლიათ დაჯავშნოთ კონსულტაცია ჩვენს გუნდთან ბმულზე.
საკონტაქტო პირები:
ნინო გელაშვილი
ანა (ეკატერინე) ილურიძე

ელ-ფოსტა: social.enterprise.ge@gmail.com ; nino.gelashvili@csrdg.ge ekaterine.iluridze@csrdg.ge ;